

## შეფასების სისტემა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის (სამედიცინო ფიზიკაში)

სტუდენტის მიღწევების შეფასების კომპონენტები შემდეგია:  
სტუდენტის დასწრება მეცადინეობებზე - 3 ქულა (30 სთ. პრაქტიკული მეცადინეობა და 24 სთ. ლექცია);  
მეცადინეობებზე აქტივობა (გამოკითხვა) - 12 ქულა;

კოლოკვიუმები: 33 ქულა:  
შუალედური ზეპირი კოლოკვიუმი - 20 ქულა (ოთხჯერ სემესტრში, თითო - 5 ქულა)  
წერიტი კოლოკვიუმები - 13 ქულა (2 კოლოკვიუმი სემესტრში; თითო - 6,5 ქულა)  
ლაბორატორიული სამუშაო - 12 ქულა (5 ლაბორატორიული სამუშაო სემესტრში; თითო - 2,4 ქულა)  
დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა

დასწრები ქულას სტუდენტი იღებს პრაქტიკულ მეცადინეობებზე და ლექციებზე დასწრებით; გაცდენის შემთხვევაში დასწრების ქულა იანგარიშება პროპორციის მიხედვით. ლაბორატორიულ მეცადინეობაზე დასწრება შედის ლაბორატორიული მეცადინეობის შეფასებაში (ქულას სტუდენტი იღებს დავალების შესრულების შემთხვევაში).

მეცადინეობებზე აქტივობა ფადება სემესტრის განმავლობაში პრაქტიკულ მეცადინეობებზე ზეპირი გამოკითხვის შეფასებით (მაქსიმალური შეფასება 3 ქულა). 3 ქულა - სტუდენტი კარგად არის მომზადებული, ზედმიწევნით კარგად ფლობს გათვალისწინებულ მასალას; დასმულ შეკითხვებზე პასუხები სრულყოფილი, სწორი და დასაბუთებულია; სტუდენტს გააზრებული აქვს და კარგად ერკვევა საკითხში, მაქსიმალურად ავლენს ცოდნის გამოცემისა და დისკუსიის უნარს. 2 ქულა - სტუდენტი მომზადებულია. საშუალოდ, ფლობს გათვალისწინებული თემის მხოლოდ ნაწილს, უჭირს მომზადებული მასალის წარდგენა, დასმულ შეკითხვებზე პასუხები დაუსაბუთებელია. 1 ქულა - სტუდენტი მოუმზადებელია. ვერ წარმართავს დისკუსიას დასმულ შეკითხვებზე პასუხები არასრულია. 0 ქულა - სტუდენტი მოუმზადებელია და ვერ პასუხობს. სემესტრის განმავლობაში ზეპირი გამოკითხვის პროცესში მიღებული ქულები გროვდება (ჯამი 12).

სემესტრში დაგეგმილია 4 ჩათვლის (კოლოკვიუმის) ჩატარება ზეპირი გამოკითხვით (შინაარსობრივად ურთიერთდაკავშირებული მონაკვეთებისა), ბილეთებით (თითო ბილეთში 5 საკითხი, თითოეული საკითხის შეფადება 1 ქულით (1- ქულა სრული სწორი პასუხი, 0,5 ქულა - არასრული პასუხი, 0 ქულა არასწორი პასუხი)). სემესტრის განმავლობაში ზეპირი გამოკითხვის პროცესში მიღებული ქულები გროვდება, ჯამი 20. წერიტი კოლოკვიუმი ტარდება ტესტური ფორმით (65 კითხვა) სემესტრში ორჯერ. ტესტური ფორმის დროს შეთავაზებული ოთხი ალტერნატიული პასუხიდან ერთი სწორი პასუხი შეფასდება 0,1 ქულით. სემესტრის განმავლობაში ზეპირი გამოკითხვის პროცესში მიღებული ქულები გროვდება, ჯამი 20. წერიტი კოლოკვიუმების მაქსიმალური ქულაა - 13.

ლაბორატორიული სამუშაო - 12 ქულა (5 ლაბორატორიული სამუშაო სემესტრში; თითო - 2,4 ქულა)

2,4 ქულა - სტუდენტმა შეასრულა სამუშაო და სრულყოფილად ახსნა ლაბორატორიული სამუშაოს თეორიული ნაწილი.

2 ქულა - სტუდენტმა შეასრულა სამუშაო და მაგრამ თეორიული დასაბუთება არ არის სრულყოფილი.

1.5 ქულა - სტუდენტმა შეასრულა სამუშაო და მაგრამ თეორიული დასაბუთება მოახდინა მხოლოდ ნაწილობრივად

1 ქულა - სტუდენტმა შეასრულა სამუშაო და მაგრამ თეორიული დასაბუთება არ მოახდინა.

0.5 ქულა - სტუდენტმა შეასრულა სამუშაო ხარვეზებით და არ მოახდინა. თეორიული დასაბუთება

0 ქულა - სტუდენტი ვერ ასრულებს ლაბორატორიულ სამუშაოს და არ გააჩნია თეორიული ცოდნა.

სამედიცინო ფიზიკის გამოცდის ფორმა კომბინირებულია: ტესტური (წერითი) + ზეპირი (ბილეთებით). გამოცდაზე ტესტურ კითხვათა რაოდენობა 100-ია (თითო კითხვაზე შეთავაზებული ოთხი ალტერნატიული პასუხი; 15 ქულა არის მაქსიმალური გამოცდის წერითი ნაწილისთვის. ზეპირი გამოკითხვის დროს საკითხთა რაოდენობა – 5 (თითო საკითხი შეფასდება 5 ქულით).

5 ქულა - სტუდენტი ავლენს მასალის ღრმა ცოდნას, მსჯელობს დამოუკიდებლად, აქვს საკითხის ირგვლივ ანალიზის უნარი.

4 ქულა - სტუდენტი ავლენს მასალის კარგ ცოდნას, მსჯელობს დამოუკიდებლად ლოგიკურად, მცირე შეცდომებით

3 ქულა - სტუდენტი ავლენს მასალის საშუალო ცოდნას, მსჯელობს ლოგიკურად თუმცა სწირდება პედაგოგის დახმარება.

2 ქულა - სტუდენტი ავლენს მასალის ზედაპირულ ცოდნას, მსჯელობს მნიშვნელოვანი შეცდომებით.

1 ქულა - სტუდენტის თეორიული ძალიან შეზღუდულია, საკითხის ირგვლივ მსჯელობა და საკითხის ანალიზი არ შეუძლია.

საგამოცდო ტესტების ბაზა (1000-მდე ტესტი) დახურულია, ტესტების 25% განახლებადია ყოველ სასწავლო წელს.

სტუდენტის საგამოცდო შეფასება დადებითია, თუ მის მიერ გამოცდაზე მიღებული ქულა ტოლია ან აღემატება ოცდაოთხ ქულას (მაქსიმალური შეფასების 60%).

სტუდენტის საბოლოო შეფასება ხდება 100 ქულიანი შკალით შუალედური შეფასების კომპონენტების და გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამით.

შეფასების სისტემით დაშვებულია:

ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

ბ. ორი სახის უარყოფით შეფასება:

(F<sub>x</sub>) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.